ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი **2012 წლის 29 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 25 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. ჩაბაკაური გიორგი 4. ელიაშვილი მერაბი 5. თუთბერიძე ბეჟანი 6. ომანაძე როლანდი 7. გუბაძე ვასილი 8. ჭლიკაძე გივი 9. კახიანი გიორგი 10. კვერენჩხილაძე გიორგი 11. ბენდელიანი ბექა 12. პაპაშვილი თამარი 13. მარგველიშვილი ვლადიმერი 14. ცინცაძე ნინო 15. მაცაბერიძე მალხაზი 16. შამილიშვილი მანანა 17. წერეთელი მარი 18. ნახუცრიშვილი კონსტანტინე 19. ბარამიძე ცირა 20. ბრაჭული ირაკლი 21. გელოვანი ნანი 22. ლორია კახაბერი 23. პაიჭაძე თამარი 24. ახლოური ბექა 25. ზივზივაძე ვახტანგი 26. ჯღამაძე უჩა 27. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი) 2. გაფრინდაშვილი ნანი 3. გერსამია მარიამი 4. შენგელაია ალექსანდრე 5. ნადარაია ელიზბარი 6. სურგულაძე ნუგზარი 7. მარშავა ქეთევანი 8. თოდუა ფრიდონი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი.
2. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილების დამტკიცება.
3. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №100/2012 დადგენილების დამტკიცება.
4. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის წესით გაცემის საკითხი.
5. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის საკითხი.

6. ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კანცელარიის დებულების დამტკიცება.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო თსუ-ის წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებებისა და დამატებების პროექტი და აღნიშნა, რომ აღნიშნული ცვლილებები ძირითადად ტექნიკურ ხასიათს ატარებს; ხდება წესდების რამდენიმე მუხლის დაზუსტება, აკადემიურ პერსონალს, რომლებიც ზედიზედ მეორედ არიან არჩეულები თანამდებობაზე, მოეხსნათ აკადემიურ შვებულებასთან დაკავშირებული შეზღუდვები; ასევე, პროცედურების გამარტივების მიზნით, განისაზღვრა დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, დეკანის მოვალეობის შემსრულებელთა რიგითობა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა გიორგი კვერენჩხილაძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნება, თუკი თსუ-ის წესდების 30-ე მუხლის მე-6 პუნქტით, დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, თავად დეკანს მიეცეს არჩევანის საშუალება, თუ რომელ მოადგილეს დანიშნავს მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო ამ წესის გამოუყენებლობის შემთხვევაში კი ავტომატურად ამოქმედდეს წესდებით დადგენილი რიგითობა.

ბატონი გიორგი კვერენჩხილაძის შენიშვნა გათვალისწინებული იქნა და კენჭი ეყარა ცვლილებების პროექტის რედაქტირებულ ვარიანტს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: მიღებულ იქნას ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებები და დამატებები. (დანართი 3)

2. აკადემიური საბჭოს აპარატის უფროსმა, ბატონმა ვასილ გონაშვილმა წარმოადგინა „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012

წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილება და აღნიშნა, რომ მსგავსი ცენტრის შექმნა სარგებელს მოუტანს უნივერსიტეტს. ცენტრი მრავალფუნქციური იქნება და რამდენიმე მიმართულებით იმუშავებს, მის საქმიანობაში რამდენიმე ფაკულტეტის წარმომადგენლებს შეეძლებათ ჩართვა.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გიორგი კვერენჩხილაძემ, ცირა ბარამიძემ და ბეჟან თუთბერიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილება. (დანართი 4)

3. აკადემიური საბჭოს აპარატის უფროსმა, ბატონმა ვასილ გონაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №100/2012 დადგენილება. მან აღნიშნა, რომ ამ დადგენილებით ხდება აღნიშნული ცენტრის დებულების შექმნა, რომელიც სამართლებრივად გამართულია, აწესრიგებს ცენტრის მიზნებს, საქმიანობას, უფლება-მოვალეობებსა და ა.შ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 26

წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების

ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 29 ოქტომბრის №100/2012 დადგენილება. (დანართი 5)

4. თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო თსუ-ის ქონების იჯარის წესით გაცემის საკითხი და განაცხადა, რომ, მართალია, წინა სხდომაზე წარმომადგენლობითი საბჭო დაეთანხმა თსუ-ის მიერ დაფუძნებული შპს-თვის გადაეცა იჯარის წესით ქონება, სასადილოს მოწყობის მიზნით, თუმცა ცალკე შპს-ს შექმნა და მისთვის იჯარით ქონების გადაცემა მიზანშეწონილად არ მიიჩნია რეგენტთა საბჭომ, რის გამოც უნივერსიტეტს უწევს იჯარით გასცეს ქონება, რათა შესაბამისმა დაინტერესებულმა პირებმა მოაწყონ სასადილო.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ზურაბ გაიპარაშვილი დაინტერესდა, თუ იგეგმება წიგნის მაღაზიის მოწყობა უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, რაზეც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ განაცხადა, რომ წიგნების მაღაზიის მოწყობის მიზნით ქონების იჯარის წესით გაცემის საკითხიც მალე დადგება დღის წესრიგში.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონების (ფართის) ნაწილის, 5 წლის ვადით, იჯარის წესით, დროებით სარგებლობაში გაცემაზე: 1) ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1 – უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე მდებარე კაფეტერია, ჯამში ფართით 155 კვ.მეტრი. ფართის სარგებლობაში გაცემის მიზანი – მზა საკვების რეალიზაციისა და გაზიანი, უალკოჰოლო სასმელების (ყავა, ჩაი, ნატურალური წვენი და ა.შ.) რეალიზაციის მიზნით. იჯარის ფართის გაცემის პირობა - დროებითი კონსტრუქციის სახის დამატებითი ტიხრების (რაოდენობით 3) მოწყობა; 2) ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. N1-ის ეზოში მდებარე სასადილოს ორსართულიან შენობაში არსებული შემდეგი ფართები: ა) პირველ სართულზე მდებარე პირველ და მეორე სართულებზე სამზარეულო, სამრეცხაო, საოფისე და დამხმარე ფართი ჯამში 240 კვ მეტრი (სამზარეულო - 140, სამრეცხაო და დამხმარე - 50, საოფისე 50 კვადრატული

მეტრი). სარგებლობაში გაცემის მიზანი – საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირება - საზ.კვების ნაწარმის დამზადება და რეალიზაცია, გაზიანი და უალკოჰოლო სასმელების დამზადება და რეალიზაცია. ბ) პირველ და მოერე სართულებზე მდებარე ფართი, ჯამში 111 კვ. მეტრი (პირველი სართული 59 ხოლო მეორე სართული 52 კვ. მეტრი). იჯარის ფორმით გაცემის მიზანი - საოფისე დანიშნულება; 3) ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა N2, უნივერსიტეტის მე-10 სასწავლო კორპუსის შენობის პირველ სართულზე მდებარე სასადილო, ფართით ჯამში - 273 კვ.მეტრი. სარგებლობაში გაცემის მიზანი – საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირება - საზ.კვების ნაწარმის დამზადება და რეალიზაცია, გაზიანი და უალკოჰოლო სასმელების დამზადება და რეალიზაცია.

5. თსუ-ის საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმოადგინა თსუ-ის 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების პროექტი. უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე, ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების დაზუსტების გამო, აუცილებელი გახდა უნივერსიტეტის ბიუჯეტში გარკვეული ცვლილებების შეტანა. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, დაფინანსება შემცირდა 29 7500 ლარის ოდენობით. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (შესრულებული სამუშაო, სწავლის ქირა), სავარაუდოდ, წლის განმავლობაში გაიზრდება 1 495 000 ლარით, რაც შესაბამისად უნდა აისახოს ბიუჯეტის მუხლობრივ განწერაში. კერძოდ, ცვლილებები შევიდა შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის ხარჯების, არაფინანსური აქტივების (სარემონტო სამუშაოები, კომპიუტერული ტექნიკა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვადასხვა მატერიალური ფასეულობის შეძენა) მუხლებში, რის გამოც თსუ ბიუჯეტის საერთო ხარჯი გაიზარდა 903 993 ლარით. უნივერსიტეტის წესდებიდან გამომდინარე აღნიშნული ცვლილება არ საჭიროებს რეგენტთა საბჭოს თანხმობას და ექვემდებარება წარმომადგენლობით საბჭოზე გატანს მისი დამტკიცების მიზნით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტში ცვლილები. (დანართი 6)

6. თსუ-ის კანცელარიის უფროსმა, ქალბატონმა ნუნუ ოვსიანიკოვამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო კანცელარიის დებულების პროექტი და აღნიშნა, რომ დებულების პროექტში ტექნიკური ცვლილებებია, იგი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთანშესაბამისობაშია მოყვანილი .

თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ დებულების პროექტმა გაიარა სამართლებრივი ექსპერტიზა და იგი ვიზირებულია იურიდიული დეპარტამენტის მიერ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 27

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 1. დამტკიცდეს ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის კანცელარიის დებულება. (დანართი 7) 2. გაუქმდეს წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2008 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიის დებულება.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კ. ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს

აპარატის უფროსი: დ. გეგენავა

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2012 წლის 29 ოქტომბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გაგნიძე ინეზა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა

სტუდენტები:

- კარტოზია გიორგი
- მესხორაძე გიორგი
- ჩაბაკური გიორგი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გეგეჭკორი არნოლდი
- ელიაშვილი მერაბი
- თუთბერიძე ბეჟანი
- ომანაძე როლანდი
- ხაჩიძე მანანა

- კერესელიძე დავითი

სტუდენტები:

- გუბაძე ვასილი
- ჭლიკაძე გივი

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- კახიანი გიორგი
- კვერენჩხილაძე გიორგი

სტუდენტები:

- ბენდელიანი ბექა
- პაპაშვილი თამარი
- ჭალიძე ივერი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- გალდავა გიორგი
- მარგველიშვილი ვლადიმერი
- ფალავა ზურაბი

სტუდენტები:

- ცინცაძე ნინო

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- თურქიაშვილი შორენა
- მაცაბერიძე მალხაზი
- შამილიშვილი მანანა
- წერეთელი მარი

სტუდენტები:

- ნახუცრიშვილი კონსტანტინე
- ჩოხელი ლევანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები

- ბარამიძე ცირა
- ბახტაძე მიხეილი
- ბრაჭული ირაკლი
- გელოვანი ნანი
- ლიჩელი ვახტანგი
- ლორია კახაბერი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ახლოური ბექა
- ზიკზიკვაძე ვახტანგი

- ჯღამაძე ეკა

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2012 წლის 29 ოქტომბერი

- კვიტაშვილი ალექსანდრე (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- დავითაშვილი ზურაბი
- გერსამია მარიამი
- შენგელაია ალექსანდრე
- ნადარაია ელიზბარი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- გველესიანი რევაზი
- მარშავა ქეთევანი
- თოდუა ფრიდონი
- მანაგაძე ლავრენტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №-/ნ
2012 წლის - ოქტომბერი ქ. თბილისი

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბერის №208/ნ ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1.

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბერის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

ა) წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. უნივერსიტეტი არის საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. უნივერსიტეტზე და მის მიერ განხორციელებად საქმიანობაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ვრცელდება მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებული ინფორმაციის თავისუფლების ნორმების ნაწილში."

ბ) წესდების 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 29. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილება

ფაკულტეტის საბჭო:

ა) განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის პროექტს;

ბ) დეკანის წარდგინებით განიხილავს და უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) დეკანის წარდგინებით განიხილავს ფაკულტეტის დებულებას, რომელიც უნდა მოიცავდეს ფაკულტეტის სტრუქტურას და განსახილველად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

დ) შეიმუშავებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ე) ფაკულტეტის დეკანს დასანიშნად წარუდგენს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას;

ვ) უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულების გამოყენების თაობაზე;

ზ) დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელებისას საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, ფაკულტეტის საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით უნივერსიტეტის რექტორს წარუდგენს დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის წინადადებას. აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. დეკანი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს.“

გ) წესდების 30-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 ქვეპუნქტი:

,,6. დეკანის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ავტომატურად ასრულებს დეკანის მოადგილე საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კი დეკანის მოადგილე საგანმანათლებლო-სამეცნიერო სფეროში.“

დ) წესდების 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 39. ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედის შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ფაკულტეტზე არსებული სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულებიდან და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები.

2. ფაკულტეტის საბჭოში სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა რაოდენობა შეადგენს საბჭოს წევრ აკადემიური პერსონალის 1/4-ს, დამრგვალება ხდება სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენელთა სასარგებლოდ.“

ე) წესდების 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 44. უნივერსიტეტის პერსონალი

1. უნივერსიტეტში არსებობს ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მასწავლებელთა და დამხმარე თანამდებობები.

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ, აკადემიურ, სამეცნიერო და დამხმარე თანამდებობებზე პირი მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით შესაძლებელია დასაქმებული იქნას არაუმეტეს 12 თვის ვადით, გარდა კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ვ) წესდების 50-ე მუხლის ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) პროფესიული განვითარების მიზნით, 5 წელიწადში ერთხელ, აკადემიური თანამდებობის დაკავებიდან 1 აკადემიური წლის შემდეგ, აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს 10 თვის ვადით. იმ პერსონალის მიმართ, რომელიც აკადემიურ თანამდებობას დაიკავებს ზედიზედ მეორე ან მომდევნო ვადით, ამ პუნქტით გათვალისწინებული ერთწლიანი შეზღუდვა არ ვრცელდება.“

ზ) წესდების 62-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 62. აკადემიური ხარისხის მინიჭება და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

1. აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას უნივერსიტეტი პირს ანიჭებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს.

2. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.

3. პირს, რომელმაც არ ან ვერ დაასრულა შესაბამისი საგანმანათლებლო საფეხური, ეძლევა სათანადო მოწმობა.“

თ) წესდების 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. უნივერსიტეტი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლებამოსილია დააფუძნოს კერძო სამართლის სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირები.“

ი) წესდების 68-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,უნივერსიტეტის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების ან მისი ნაწილის გასხვისება, დატვირთვა ან სარგებლობაში გაცემა საჭიროებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებას და რეგენტთა საბჭოს თანხმობას.“

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. მარგველაშვილი

დადგენილება №95/2012
8 ოქტომბერი, 2012

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №220/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწმიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-7 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, მე–8 მუხლის „ქ" ქვეპუნქტის, მე–17 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 13 მარტის №17/2012 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ც" ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას ,,ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი .".

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

4. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

დადგენილება №100/2012
29 ოქტომბერი, 2012

„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილებაში დამატების შეტანის შესახებ

,,ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ – ივანე ჯავახიოშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ჩ“ ქვეპუნქტისა და მე-17 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 8 ოქტომბრის №95/2012 დადგენილებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დამტკიცდეს ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის“ დებულება (დანართი №1).“.

2. წინამდებარე დადგენილებით მიღებული დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ კანცელარიას.

4. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

ალექსანდრე კვიტაშვილი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო–სამეცნიერო ცენტრის“

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – უნივერსიტეტი) ,,იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სასწავლო–სამეცნიერო ცენტრი“ (შემდგომში – ცენტრი) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურულ ერთეულს.
2. ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 2. ცენტრის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. ცენტრის მიზნებია:
ა) ცენტრის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტების სწავლება მაღალეფექტიანი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით;
ბ) პროფესიული პრაქტიკის პროგრამით გათვალისწინებული პროგრამის შესაბამისად მისი ანალოგ–მოდელებზე გადასვლა და სტუდენტების პრაქტიკული უნარ–ჩვევების განვითარება;
გ) ცენტრში შემუშავებული კომპიუტერული პრაქტიკუმების საშუალებით, რომლებიც მოიცავს საქმიან თამაშს (ან კეისს), სასწავლო დავალებას და მეთოდურ მასალას, გადასვლა დისტანციურ სწავლებაზე;
დ) კვლევების ჩატარება იმიტაციურ მოდელირებასა და საერთაშორისო კონსალტინგის სფეროში;
ე) აკადემიური, მეცნიერული მიღწევების პროპაგანდა სტუდენტთა ფართო წრეში;
ვ) პრობლემების თეორიული და პრაქტიკული საკითხების მეცნიერული კვლევის შედეგების სამეცნიერო კრებულებისა და მონოგრაფიების სახით გამოქვეყნება; ამ მიმართულებით, ბოლონიის პროცესის პირობის შესრულება – უცხოელ მეცნიერებთან ერთად ერთობლივი მრავალენოვანი მონოგრაფიების მომზადება;
ზ) იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების პრობლემებზე საუნივერსიტეტო, რესპუბლიკური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და პრაქტიკული სემინარების ჩატარება.

2. ცენტრის ამოცანებია:
ა) სტუდენტების შემეცნებითი მოტივაციის ზრდა, მომავალი პროფესიული საქმიანობის უმთავრესი კომპონენტების შესწავლა, მისი პრაქტიკული ასპექტების ათვისების დონის ზრდა;
ბ) სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სტუდენტების ანალიტიკური აზროვნების ჩამოყალიბება და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების კულტურის გამომუშავება;

გ) უნივერსიტეტში პერმანენტულად საქმიანი თამაშებისა და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სისტემის დანერგვა;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში და უნივერსიტეტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობით, უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა სწავლების ინტერაქტიური მეთოდებისა და საერთაშორისო კონსალტინგის სფეროში;
ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში და უნივერსიტეტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის თანხმობით, საქართველოს დაინტერესებულ პირებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ახალი თემატიკის სასწავლო იმიტაციური მოდელების შემუშავების და კონსალტინგური მომსახურების გაწევის მიზნით;
ვ) სტუდენტების საქმიან თამაშებში მონაწილეობის ამსახველი საუნივერსიტეტო პრეზენტაციებისა და ტელერადიო გადაცემების მომზადება.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ცენტრს ხელმძღვანელობს ცენტრის მეცნიერ–ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს თსუ–ს რექტორი.
2. ცენტრის თანამშრომელთა საშტატო რიცხოვნობა და სახელფასო განაკვეთები, ცენტრის დირექტორის წარდგინებით აისახება უნივერსიტეტის საშტატო განრიგში, რომელიც მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ.
3. ცენტრის მეცნიერ–ხელმძღვანელი:
ა) წარმართავს ცენტრის მუშაობას;
ბ) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;
გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მითითებებსა და დავალებებს;
დ) პასუხისმგებელია ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტიანობაზე;
ე) უნივერსიტეტის რექტორს არაუგვიანეს მომდევნო წლის მეორე კვარტლის დასრულებისა წარუდგენს განვლილი აკადემიური წლის საქმიანობის ანგარიშს;
ვ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ცენტრისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;
ზ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს ცენტრის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, ცენტრის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
თ) პერიოდულად ისმენს ცენტრის თანამშრომლების ანგარიშს მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;
ი) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.
4. ცენტრის დირექტორის მიერ თავის უფლებამოსილებათა განხორციელების დროებით შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებებს რექტორის თანხმობით ასრულებს ერთ–ერთი თანამშრომელი.
5. ცენტრის თანამშრომელთა უფლებამოვალეობები და განსახორციელებელი საქმიანობის (შესასრულებელი სამუშაოს) აღწერილობები მტკიცდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მეცნიერ-ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე.

მუხლი 4. ცენტრის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ცენტრი სარგებლობს უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონებით.

მუხლი 5. ცენტრის ფინანსები

ცენტრის დაფინანსების წყაროებია:
ა) უნივერსიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი დაფინანსება;
ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;
გ) ხელშეკრულების შესრულებით მიღებული შემოსავლები;
დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ცენტრისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;
ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, სხვა სტრუქტურული ცვლილებები და წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხი რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
2012 წლის ბიუჯეტი

მოსალოდნელი შემოსავლები	ლარი
სასწავლო გრანტი	16 776 250
ეკონომიკური საქმიანობა	24 330 490
სახელმწიფო ბიუჯეტის მიზნობრივი დაფინანსება	1 090 000
სახელმწიფო ბიუჯეტი (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები)	3 849 790
სახელმწიფო (პრეზიდენტის) სტიპენდია	501 300
2011წლის გარდამავალი ნაშთი	8 888 023
ჯამი	**55 435 853**

სულ მოსალოდნელი გრანტები გარდამავალი ნაშთის ჩათვლით	**8 686 939**
ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები	**4 271 939**
საერთაშორისო გრანტები	**3 806 000**
ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის გრანტები	**609 000**
სულ შემოსავალი	**64 122 792**

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ხარჯები

დასახელება	ლარი
1	2
მთლიანი ასიგნებები	63 138 649
ხარჯები	61 546 996
შრომის ანაზღაურება	26 079 360
ხელფასები	26 079 360
საქონელი და მომსახურება	31 400 198
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	17 366 157
მივლინება	1 102 132
ოფისის ხარჯები	6 814 919
წარმომადგენლობითი ხარჯები	1 324 940
რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	100 000
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	344 300
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	4 347 750
გრანტები	1 133 538
სხვა ხარჯები	2 933 900
არაფინანსური აქტივების ზრდა(ძირითადი აქტივები)	1 591 653
შენობა ნაგებობები	300 000
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	1 191 653
სხვა ძირითადი აქტივები	100 000
ნაშთი	984 143

წარმომადგენლობითი საბჭოს ოქმი №6, დანართი 7.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის

კანცელარიის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი") კანცელარია (შემდგომში – „კანცელარია") წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს.

2. კანცელარია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.

3. კანცელარია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ დავალებებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

4. კანცელარიას აქვს მრგვალი ბეჭედი თავისი დასახელების აღნიშვნით.

მუხლი 2. კანცელარიის საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. კანცელარიის ძირითადი საქმიანობის სფეროა უნივერსიტეტში ერთიანი საქმისწარმოების ორგანიზება, ხელმძღვანელობა, კოორდინაცია, კონტროლი, რეალიზაცია, საქმისწარმოების საკითხების მარეგულირებელი აქტების პროექტების შემუშავება.

2. კანცელარიის ამოცანებია:

ა) დოკუმენტებზე მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, საქმისწარმოების ერთიანი წესებისა და სხვა მოქმედი მარეგულირებელი აქტების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტებზე მუშაობის ორგანიზაციის,

საინფორმაციო-საძიებო სისტემების, სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის მონიტორინგისა და შესრულების კონტროლის უზრუნველყოფა, დოკუმენტბრუნვის შემცირება, დოკუმენტების ფორმების უნიფიკაცია და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ბ) უნივერსიტეტში საქმისწარმოების საკითხების მარეგულირებელი და მეთოდური დოკუმენტების პროექტების შემუშავება, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დოკუმენტების მართვის ერთიანი სისტემების დანერგვა და სრულყოფა.

გ) არქივის საქმიანობის წარმართვა – სტუქტურული ერთეულებიდან საარქივო დოკუმენტების მიღების, დადგენილი წესების შესაბამისად მათი დაცვის, მოწესრიგების, გამოყენებისა და მუდმივად შენახვისათვის გადასცემად მომზადების უზრუნველყოფა.

3. კანცელარიის ფუნქციაა:

ა) უნივერსიტეტში საქმისწარმოებასა და დოკუმენტბრუნვასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ერთიანი საქმისწარმოების სისტემის უზრუნველყოფა და მართვა.

ბ) კორესპონდენციის მიღება, რეგისტრაცია, საექსპედიციო დამუშავება, სააღრიცხვო-საცნობარო სამუშაოთა შესრულება, ინფორმაციის შეტანა ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში და კორესპონდენციის დანიშნულებისამებრ გადაცემა-დაგზავნა.

გ) გასული კორესპონდენციის რეგისტრაცია და ადრესატისათვის მისი წარდგენის ორგანიზება. რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის ხელმოსაწერად წარსადგენი დოკუმენტების გაფორმების მონიტორინგი.

დ) უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესისა და სხვა მოქმედი აქტების შესაბამისად კორესპონდენციის დადგენილ ვადაში გაფორმების და დოკუმენტების კონტროლზე აყვანის ორგანიზაცია, შემსრულებლებისათვის მათი დროული მიწოდება, დოკუმენტების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი და ანალიზი, შედეგების შესახებ ინფორმაციის განზოგადება და ხელმძღვანელობის სისტემატური ინფორმირება.

ე) დოკუმენტებზე მუშაობის ტექნიკური უზრუნველყოფა - დაბეჭდვის, ასლის გადაღებისა და ოპერატიული გამრავლების ორგანიზება, დოკუმენტების ბლანკების შემუშავება.

ვ) მოქალაქეთა მიღების ორგანიზება.

ზ) ინფორმაციის გაცემა კანცელარიაში შემოსული დოკუმენტების შესრულებისა და გასული კორესპონდენციის დაგზავნის მდგომარეობის შესახებ.

თ) სტრუქტურულ ერთეულებში, უნივერსიტეტის საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად, მუშაობის ორგანიზაცია და გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში დოკუმენტბრუნვისა და დოკუმენტების შენახვის მონიტორინგი.

ი) არქივის მუშაობის ორგანიზება - საქმისწარმოების მუშაობის ერთიანი წესის შესაბამისად არქივის დაკომპლექტება საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით განსაზღვრული დოკუმენტებით, მათი აღრიცხვისა და დაცვის უზრუნველყოფა, არქივის დოკუმენტების საცნობარო აპარატის შექმნა, არქივში დაცული დოკუმენტების გამოყენება, საარქივო მომსახურების განხორციელება, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის ჩატარება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების სახელმწიფო შენახვისათვის გადასაცემად მომზადება და გადაცემა შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი ვადებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

კ) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება საქმისწარმოების სფეროში, ტრენინგების პროგრამების შემუშავება და რეალიზება.

ლ) კონსულტაციებისა და მეთოდური დახმარების გაწევა უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის კანცელარიის კომპეტენციის ფარგლებში.

4. კანცელარიის უფლებამოსილებაა:

ა) უნივერსიტეტში საქმისწარმოების უნიფიცირების მიზნით, შეიმუშაოს საქმისწარმოების ერთიანი წესები და წარუდგინოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლოს სტრუქტურული ერთეულების მიერ უნივერსიტეტში დოკუმენტებზე მუშაობის დადგენილი წესების შესრულება.

გ) განახორციელოს კონტროლი და მიიღოს ზომები უნივერსიტეტში დოკუმენტბრუნვის ოპტიმიზაციისათვის.

დ) სტრუქტურულ ერთეულებს შემდგომი დამუშავებისათვის დაუბრუნოს არასწორად მომზადებული დოკუმენტები, რომლებიც არ შეესაბამება საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნებს.

ე) სტრუქტურული ერთეულებიდან გამოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კანცელარიის კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე.

ვ) უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებში განახორციელოს საქმისწარმოების მონიტორინგი, მოითხოვოს და უზრუნველყოს საქმისწარმოების სფეროში მოქმედი სამართლებრივი აქტების განუხრელი დაცვა.

ზ) განსაზღვროს ავტომატიზაციას დაქვემდებარებული საქმისწარმოების ამოცანები, შექმნას და განაახლოს საინფორმაციო ბაზები.

თ) შეიმუშაოს კანცელარიის პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

ი) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ იმ საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება დოკუმენტებზე მუშაობას, მისი ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას. წარადგინოს შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები.

მუხლი 3. კანცელარიის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. კანცელარია წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელსაც ხელმძღვანელობს კანცელარიის უფროსი.

2. კანცელარიის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. კანცელარიის უფროსის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა და სხვა) მის მოვალეობას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ასრულებს შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

3. კანცელარიის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს კანცელარიის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს კანცელარიას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია კანცელარიაზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს კანცელარიის თანამშრომლებს შორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) ზედამხედველობს კანცელარიის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ე) ხელს აწერს კანცელარიაში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახდენს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებულ სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირებას;

ვ) წარადგენს ანგარიშს კანცელარიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

ზ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით კანცელარიისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

თ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს კანცელარიის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, კანცელარიის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ი) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია კანცელარიის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

კ) შუამდგომლობს კანცელარიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე, ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. კანცელარია ფუნქციურად მოიცავს საქმისწარმოებისა და არქივის სექტორებს.

5. კანცელარიის საშტატო განრიგი განისაზღვრება უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად. კანცელარიის თანამშრომლები უნდა აკმაყოფილებდნენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და წარმართავდნენ თავიანთ საქმიანობას სამსახურებრივი ინსტრუქციებისა და თანამდებობრივი მოვალეობის შესაბამისად.
6. დოკუმენტებზე ხელმოწერის, აგრეთვე ასლის დოკუმენტთან შესაბამისობის დასადასტურებლად, საქმისწარმოების წესების შესაბამისად, კანცელარიაში გამოიყენება ბეჭდები და შტამპები, რომელთა ფორმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განისაზღვრება და მტკიცდება რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

მუხლი 4. კანცელარიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

უნივერსიტეტის კანცელარიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

უნივერსიტეტის კანცელარიის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.